№ 55
(11 305)
20 – 22 ივლისი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



COPA AMERICA



ფინალი
ბრაზილია — ურუგვაი 3-0

იხ. მე-4 გვ.



წინა პლანზე (მარცხნივ) რივალდო და რონალდო თასით ხელში

*ფიგურული ციგურაობა*

## ჩვენ უკვე გვყავს ყინულზე ცეკვის პირველი ქართული წყვილი

*აქვს თუ არა მომავალი ჩვენში ფიგურულ ციგურაობას? ამ კითხვაზე წარსულში ცნობილი ჩვენი პირველი მოციგურავის ირაკლი ჯაფარიძის გარდა, პასუხს ობიექტურად ვერავინ გაგცემთ.*

ირაკლი ჯაფარიძე, სპორტის ამ სახეობაში, ყველაზე გამოცდილი სპეციალისტია ჩვენში. უცხოეთშიც კარგა ხანს იმუშავა, მაგრამ კონტაქტები არ გაუწყვეტია და სწორედ ეს იძლევა იმედს, რომ საქართველოში ფიგურული ციგურაობა არ ჩაკვდება. ირაკლი ნაკრების უფროსი მწვრთნელიცაა და განათლების საციგურაო სკოლასაც უდგას სათავეში. ძალიან ნიჭიერი თაობა მოდისო, თავად ამბობს.



ირაკლი ჯაფარიძე

პირადი კონტაქტები ვახსენეთ. სწორედ ასეთი ურთიერთობით გახდა შესაძლებელი, რომ ჩვენი მოციგურავე ვახტანგ მურვანიძე, მოსკოვში თავის ჯგუფში მიეღო ცნობილ მწვრთნელს ელენე ჩაიკოვსკაიას. რუსეთის ყველა უძლიერეს მოციგურავეს ეს სპეციალისტი ამზადებს ზამთრის მომავალი ოლიმპიადისთვის და ამიერიდან მათ შორის იქნება ვახტანგ მურვანიძეც.

ირაკლი ჯაფარიძემ კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი გვითხრა. საქართველოს უკვე ჰყავს მოციგურავე წყვილი — თორნიკე ტუკვაძე და ნათია ბაქრაძე. ეს პირველი ქართველი წყვილი იქნება, რომელიც მსოფლიო სარბიელზე გავა, მათი უმთავრესი მიზანიც 2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებია. ეს წყვილიც მოსკოვში ემზადება ტატიანა ტარასოვას საერთო ხელმძღვანელობით, უშუალოდ კი ასევე ცნობილი სპეციალისტი სვეტლანა ალექსეევა ავარჯიშებს მოსკოვის „ოლიმპიურ კომპლექსში".

— მომავალი სტარტებისთვის ემზადებიან იუნიორებიც. ისინი ამჟამად ცემში არიან შეკრებაზე. ნაკრების 15 წევრიდან იუნიორთა 200-წლის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის საუკეთესონი შეირჩევიან — გვითხრა ირაკლი ჯაფარიძემ.

ც. ბაქრაძე

## საშინაო, ამხანაგური მატჩები...

საქართველოს საფეხბურთო გუნდები, ეროვნული ჩემპიონატის დაწყების მოლოდინში, მოსამზადებლ ციკლში, ერთმანეთში მართავენ საკონტროლო შეხვედრებს. ქუთაისის „ტორპედომ" თბილისის „დინამოსთან" წაგების (1-3) შემდეგ გორის „დილას" უმასპინძლა და 5-1 სძლია. მესამე შეხვედრა ქუთათურებს ბათუმელ დინამოელებთან ჰქონდათ, მათაც დიდი ანგარიშით აჯობეს 4-0. „დილამ" შინ მიიღო „ვიტ ჯორჯია" და „ამხანაგური შედეგით" 4-3 დასრულა მატჩი. ფოთის „კოლხეთმა" სამტრედიის „იბერიას" უმასპინძლა. სტუმრები დამარცხდნენ 0-3.

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ქართული სპორტის განვითარებაში, საქართველოში სპორტული ბაზების აშენება-განახლებაში, გამაჯანსაღებელი ცენტრების შექმნაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, გერმანიის, ბულგარეთის და რუსეთის მსოფლიო ფესტივალების დიდი ოქროს მედლის მფლობელი, სპორტის ოსტატი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი ***დავით პერტენავა*** დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

### საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა „საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდება მიანიჭა:

**ოთარ კიშინსკის** — ოზურგეთის რაიონის სპორტკომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს;
**ანზორ მიქელაძეს** — ფოთის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორს;
**შალვა ძირიას** — სპორტულ ჟურნალისტს;

### საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ:

**ირაკლი ნათიძეს** — განათლების სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს;
**ლ. ზერეკიძეს** — ჩოგბურთი (თბილისი);
**ჯ. ბენდიანიშვილს** — თავ. ჭიდაობა; ლ. მგელაძეს — რაგბი (ორივე — თბილისი);
ბ. ჭიჭინავას — კრივი (ქუთაისი);
რ. მორგოშიას — სამბო (ხობი).

## რეკორდები

ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამერიკელმა მოცურავემ ჯენეტ ევენსმა ლოს-ანჯელესში მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება ჩაატარა, ქალთა შორის აქ თავი გამოიჩინა სამხრეთაფრიკელმა პენი ხეინსმა, რომელმაც 200 მ. ბრასით ცურვაში ერთ დღეს (7 საათის ხანგამოშვებით) ორჯერ დაამხო მსოფლიო რეკორდი — ჯერ ეს დისტანცია 2,24,69 წ. გაცურა (0,07 წ. გააუმჯობესა ავსტრალიელ ბრაუნის მიღწევა), შემდეგ კი ეს მანძილი 2.24,51 წ. დაფარა.



საქართველოს სამგზის ჩემპიონი ინგა თავდიშვილი

იხ. მე-2 გვ.

## ქართველი ჭაბუკები მეოთხედფინალში

სლოვენიაში მიმდინარე კადეტ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს გუნდმა ჯერ რუსეთის ნაკრებს სძლია 89:78, შემდეგ დამარცხდა იუგოსლავიელებთან 75:91 და მესამე შეხვედრაში დამაჯერებლად მოუგეს თურქ თანატოლებს — 98:69. ჯგუფის ლიდერთან — ბერძნებთან და მასპინძლებთან მატჩების შედეგების მიუხედავად, ჩვენი გუნდი გათამაშების დასკვნით ეტაპზე გავიდა.



ავსტრალიის საფეხბურთო ნაკრების ამხანაგური მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედთან" დასრულდა ინგლისელთა გამარჯვებით 1-0. გოლი 25-ე წუთზე იორკმა გაიტანა.




ლარის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი — 1.9200 ლარი

## სეოკ-ის საიუბილეოდ!

# 10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში

საქართველო
GEORGIA

ფეხბურთის მემატიანე

## 1990-1991 წლები

**საქართველოს** ეროვნული დროშა, სპორტულ სარბიელზე, პირუს შემდეგ, ზიმბაბვეში (ყოფილი როდეზია) აფრიალდა. მორაგბეთა ჩვენი ეროვნული ნაკრები აფრიკის ამ ქვეყანამ საპასუხო ვიზიტით მიიწვია. ეს იყო 1990 წლის აპრილში. დელეგაციას ნუგზარ ენდელაძე ხელმძღვანელობდა. სეოკ-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ამჯერად ჩემი მიწვევა დელეგაციაში, აღრმავებდა იმის რწმენას, რომ სპორტის სახელმწიფო ორგანო სოკ-ის მიერ ჯერ კიდევ აუღიარებელ ეროვნულ ოლიმპიურ სტრუქტურასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და მხარდაჭერის კურსს თანმიმდევრულად ატარებდა. ტურნემ ზიმბაბვეში წარმატებით ჩაიარა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან საგანგებოდ ჩამოვიდა იქაური ფედერაციის ხელმძღვანელი და ჩვენები სათამაშოდ მიიწვია. ნამიბიელები კი პირდაპირ ითხოვდნენ ტურნეს მათ ქვეყანაში გაგრძელებას, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო ვიზების არქონის გამო.

... ახლოვდებოდა ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. ქართული ფეხბურთი საკავშირო სტრუქტურას უკვე ჩამოშორებული იყო. გასაგებია, ჩვენმა გულშემატკივრებმა მწარედ განიცადეს, რომ ამ ჩემპიონატში ვერც ერთი ქართველი ვერ გამოვიდოდა. საკავშირო ნაკრებში, რაღა თქმა უნდა, არავის მიიწვევდნენ. და ამ დროს, ჩვენი ფეხბურთელებისა და მათი ქომაგების გულის მოსაგებად, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ გაავრცელა მიმართვა, რომლის ერთ-ერთი ადრესატი სეოკ-ი იყო. ეს საზოგადოება მოითხოვდა თბილისში ჩატარებულიყო მასობრივი დემონსტრაცია ფიფას მიერ ჩვენი ფედერაციის აღიარების მოთხოვნით. მსვლელობა „იბერიის“ (უკვე ასე ერქვა „დინამოს“) სტადიონზე უნდა დასრულებულიყო ხალხმრავალი მიტინგით. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ეს აქცია არაფერს მოიტანდა, პირიქით, ალბათ არასასურველ იმიჯსაც შევიქმნიდით საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების თვალში. ემოციებს აყოლილთა აზრის შეცვლა, საბედნიეროდ, მაშინ მოხერხდა.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი საერთაშორისო მატჩის დღეც დადგა — 1990 წლის 27 მაისი. ჩვენი მეგობრები და ერთი მიზნისთვის თანამებრძოლები, ლიტველი ფეხბურთელები გვეწვივნენ თბილისში. ბალტიისპირელებთან ამხანაგური მატჩით შეივსო საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიის თავფურცელი.

ამ პერიოდისთვის სეოკ-ი შესაძლო ძალისხმევით მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით დავით კაკაბაძე აქტიურობდა, რომელსაც სეოკ-ის პირველმა სესიამ ჩვენი საგარეო ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელობა დაავალა. ეს უაღრესად განათლებული ახალგაზრდა, მისთვის სახასიათო ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებდა ყველა დავალებას. დათო საზღვარგარეთ მუშაობდა, რაც უცხოეთში სასურველ ორგანიზაციებთან პირდაპირი და ოპერატიული კონტაქტის შესაძლებლობას იძლეოდა.

შიდა საქმეებს კი თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ აბრკოლებდა. ივნისის (1990 წ.) პირველ დეკადაში ჩვენმა მოჭადრაკეებმა სპორტული ორგანიზაციების დეპოლიტიზაციის საკითხი დასვეს. წინადადება სპორტსახკომმა და სეოკ-მა დაუყოვნებლივ განიხილა. თაოსნობამ უმალვე ჰპოვა მხარდაჭერა. მაგრამ, რაც მთავარია, არსად, არც ერთ ორგანიზაციაში არ უნდა მომხდარიყო ძალდატანება, არ უნდა შელახულიყო პიროვნების ღირსება, თითოეულ ორგანიზაციას და სუბიექტს თავად უნდა გაეკეთებინა არჩევანი.

პარტიულ ორგანიზაციებს იერარქიის არც ერთ დონეზე აღარ უთანხმებდნენ სპორტული ორგანიზაციები თავიანთ გეგმებს, ისინი დამოუკიდებლად, მაგრამ ქართული სპორტის ერთიანი პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე წყვეტდნენ ყველა საკითხს.

**1990 წლის 22 ივნისს** ეროვნული სპორტული მოძრაობის ისტორიაში ღირსსახსოვარი ფაქტი დაფიქსირდა — საბჭოთა პროფკავშირული სპორტული ორგანიცაზიების ბაზაზე დაფუძნდა საკავშირო სტრუქტურიდან დამოუკიდებელი სპორტსაზოგადოება „შევარდენი“. ვაჟა შუბლაძის შეუპოვრობით, ფაქტობრივად აღდგა ის ეროვნული სპორტული საზოგადოება, რომელმაც ესოდენ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში. დამფუძნებელ ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა სეოკ-ის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი.

სეოკ-ის აღმასკომმა ხელი შეუწყო და ყველაფერი იღონა, რათა იმ წელს (1990) ჰოლანდიაში, ცხენოსნობის ტრადიციულ დღესასწაულში, პირველად მიეღო მონაწილეობა ჩვენს მხედრებს. ეს ღონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ საფუძველი ჩაეყარა უცხოეთში ჩვენი წინაპრების გამოსვლების ტრადიციის აღორძინებას. მერე პარდუბიცეს „სტიპლ-ჩეისში“ საქართველოს ცხენოსნების გამოსვლის საკითხი დადგა დღის წესრიგში. სეოკ-მა პრობლემაც გადაჭრა და საჭირო თანხებიც თავად გაიღო. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ქართველები მსოფლიოს საუკეთესო მხედრების გვერდით ასპარეზობდნენ პარდუბიცეში, თანაც მე-100, საიუბილეო „სტიპლ-ჩეისში“.

საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში ახალი დაწყებული იყო, როცა თბილისს ეწვია ცნობილი ჟურნალისტი იური ვასილიევი „მეგაპოლის ექსპრესიდან“. მისი დიალოგი ნონა გაფრინდაშვილთან მოცულობითი იყო, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, რომ კორესპონდენტს ყველაზე მეტად აინტერესებდა ორი საკითხი — სეოკ-ის შექმნა, მისი მომავალი და ფეხბურთის საკავშირო გათამაშებიდან გამოთიშვის შეფასება. ორივე შეკითხვა საუბრის დასაწყისშივე დაისვა ერთიმეორის მიყოლებით. სხვა შეკითხვები მხოლოდ საუბრის საერთო ფონისთვის იყო გამიზნული. ვფიქრობთ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რას უპასუხებდა, რა პოზიციას დაიკავებდა სეოკ-ის პრეზიდენტი ამ ინტერვიუში.

ამასობაში ხმელთაშუა ზღვის 1991 წლის სპორტულ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა შესაძლებელი მონაწილეობაც იქცა მსჯელობის საგნად. ეს იდეა სეოკ-ს წერილობით მოაწოდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ახვლედიანმა. ხსენებული ორგანიზაცია ერთ-ერთ სპონსორადაც აცხადებდა თავს. წინადადება განვიხილეთ და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად თამაშებში მონაწილეობის სურვილის დასტური დაუყოვნებლივ გავგზავნა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს. თუმცა, იმპერიის ხელი იქაც მისწვდა და ჩვენთვის გაურკვეველ ვითარებაში თამაშებში მონაწილეობა ვერ მოვახერხეთ. სიმართლე რომ ითქვას, იმ პერიოდში ჩვენში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ძალიანაც აღარ გამოგვიდვია თავი მიზნის მისაღწევად. საამისო განწყობაც აღარ იყო.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**

*(გაგრძელება იქნება)*

*დასაწყისი იხ. „ლელო“ №№41-50, 52*

# კაცი, რომელიც პირადი მაგალითით წარმოაჩენს იოგას სასწაულს



ამ პიროვნებას „ლელოს“ სტაჟიანი მკითხველის წინაშე, როგორც იტყვიან, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ალექსი იაკობაშვილის სახელი და იოგას საიდუმლოება ერთდროულად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და აგერ რამდენიმე ათეული წელია ამ შესანიშნავ პიროვნებას ნდობით მივყვებით იოგას საოცრებათა სამყაროში. წლების გადასახედიდან კარგად მოსჩანს ის ტიტანური შრომა, რომელიც ამ კაცს გაუწევია. მაგრამ ყველაზე უკეთ მის ღვაწლზე უმთავრესი ბიოგრაფიული შტრიხები მეტყველებს — საქართველოს ფაზისის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის აკადემიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (25 წელი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი იყო), ქ. ბომბეის იოგა-თერაპიის აკადემიის საპატიო დოქტორი, პროფესორი, პოლონეთის ქ. ჟელეზნოვო-ვოლეს საპატიო მოქალაქე, პიროვნება, რომლის ბიოგრაფია შეტანილია ჰარვარდის (აშშ) და კემბრიჯის (ინგლისი) საერთაშორისო ლიდერთა ცნობარებში.

უამრავი სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური სტატიისა და 8 წიგნის ავტორი პრაქტიკულ სამკურნალო მუშაობასაც ეწევა და ათასობით ადამიანს დაუბრუნა ჯანმრთელობა. თავის დროზე თავადაც იოგას დახმარებით აღიდგინა ჯანის სიმრთელე და ყველაფერი სწორედ იქიდან დაიწყო...

დადის თბილისში წელგამართული, სიცოცხლითა და ადამიანების სიყვარულით სულით ხორცამდე გაჯერებული 70 წელს მიღწეული კაცი და პირადი მაგალითით წარმოაჩენს იოგას სასწაულს.

## მხატვრული ტანვარჯიში | საქართველოს ჩემპიონატი

# შეგირდებს ნანა ლონდარიძის და ელისო ბედოშვილის ხელწერა ეტყობათ...

***წლეულს, სექტემბრის მიწურულს, იაპონია მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს. ეს შეჯიბრება იმითაც არის გამორჩეული, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში სიდნეის ოლიმპიური თამაშების 24 საგზურიც გათამაშდება.***

მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპადის ლიცენზიებისათვის აქედანვე გულმოდგინედ ემზადებიან საქართველოს მხატვრული ტანმოვარჯიშეები, რომელთა შორის მეწინავეობენ რუსთაველი ***ინგა თავდიშვილი,*** ბათუმელი ***ვანდა კერესელიძე*** და თბილისელი ***ნინო გედევანიშვილი.*** ამ გოგონებმა კვლავ ერთხელ დაამტკიცეს, რომ საქართველოში ჯერჯერობით სხვებისათვის მიუწვდომელნი არიან. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დარბაზში (დაეთმოთ უსასყიდლოდ) გამართულ ეროვნულ ჩემპიონატს, რომელიც ოთხ დღეს გრძელდებოდა და ორ ასაკობრივ ჯგუფში 30 გოგონა ასპარეზობდა, ყველა საპრიზო ადგილი ზემოაღნიშნულმა სპორტსმენებმა გაინაწილეს: 78,75 ქულით ზედიზედ მესამედ მოიპოვა მრავალჭიდში საქართველოს ჩემპიონობა თავდიშვილმა (მწვრთნელი ნანა ლონდარიძე). მას ქულით ჩამორჩა კერესელიძე. მესამე იყო გედევანიშვილი, რომელმაც 77,2 ქულა მოაგროვა (ორივე სპორტსმენი საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ელისო ბედოშვილის შეგირდია).

საგულისხმოა, რომ ცალკეული საგნებით ვარჯიშშიც კვარცხლბეკზე მხოლოდ ინგა, ვანდა და ნინო ავიდნენ. სახტუნელათი, ბურთით, რგოლითა და ბაფთით ვარჯიშში პირველობა არავის დაუთმო თავდიშვილმა. სამ სახეობაში (ბურთი, სახტუნელა, ბაფთა) მეორე ადგილზე გავიდა კერესელიძე, ხოლო გედევანიშვილმა მესამე ადგილები დაიკავა. ვანდამ და ნინომ მხოლოდ რგოლით ვარჯიშის შემდეგ გაცვალეს ადგილები კვარცხლბეკზე.

უმცროსი ასაკის (1985 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი) მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა პაექრობაში ყველას აჯობა ***ქეთი ბაკურაძემ*** (მწვრთნელი ბელა კობალაძე) — 109,95 ქულა. მეორე ადგილი წილად ხვდა ანა ალექსიშვილს (მწვრთნელი ვიკა ვახტანგაძე), რომელმაც ქულით ნაკლები მოაგროვა. მესამე იყო ნათია სულაძე (მწვრთნელი ბელა კობალაძე) — 107 ქულა.



*მარცხნიდან — ვანდა კერესელიძე, ინგა თავდიშვილი და ნინო გედევანიშვილი.*

საქართველოს ნაკრების წევრები აგვისტოს ბოლოს ბოხუმში (გერმანია) მსოფლდიო თასის გათამაშების მე-2 ეტაპზე გამოვლენ, სექტემბრის პირველ დეკადაში კი სინოპს ეწვევიან და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატში იასპარეზებენ. წლევანდელი სეზონის გვირგვინი, როგორც აღვნიშნეთ, იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატი იქნება.

**ვაჟა დანელია**

***ავტორის ფოტო***

## სპეციალური ოლიმპიური თამაშები

# საქართველოს ჩოგბურთელთა სასწაული ამერიკაში

### ამ კონტინენტის ბავშვებზე მხოლოდ სპორტისა და ჩოგბურთის აკადემიებს არ უნდა შესტკიოდეთ გული

სპეციალური ოლიმპიური თამაშები (ინტელექტდაქვეითებულთათვის) ოთხწლიანი ციკლით ოლიმპიური თამაშების წინა წელს ეწყობა. დღემდე ჩატარდა 10 ასპარეზობა. საქართველოს წარგზავნილები ახლახან აშშ-ში გამართულ ამ თამაშებში მეორედ მონაწილეობდნენ.

ჩვენების დებიუტი წარმატებით აღინიშნა. 4 წლის წინათ, ფეხბურთელ ქალთა გუნდმა თამაშების ვერცხლის მედალი მოიპოვა, ვაჟმა კალათბურთელებმა კი V ადგილი დაიკავეს. ამჯერად ჩვენებს კვოტით მძლეოსნობასა და ჩოგბურთში ასპარეზობამ მოუწიათ. სულ 8 სპორტსმენი გაემგზავრა ამერიკაში და ამასაც თამაშების მასპინძლებს და ორგანიზატორებს უნდა ვუმადლოდეთ. უსახსრობის გამო წასვლა ვერ ხერხდებოდა. ეს ამბავი სულ ბოლოს, მას შემდეგ შეიტყვეს ორგანიზატორებმა, რაც თამაშამდე ერთი კვირით ადრე, ოჯახებში ელოდნენ ჩვენებს და ვერ ჩავიდნენ. ამის მერე მგზავრობის ხარჯები სესხად ორგანიზატორებმა გაიღეს. თამაშებში ჩვენებს, არც ამჯერად შეურცხვენიათ თავი. ჩოგბურთელებმა 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიგეს, მძლეოსნებმა 2 მეოთხე, 1 მეხუთე და 1 მეექვსე ადგილი დაიკავეს. ეს მაშინ, როცა სპორტის ამ სახეობაში თითქმის 150 გუნდი მონაწილეობდა.



თამაშები ტარდება შეწირულობებით, ცალკეულ ქვეყნებშიც ჰყავთ სპონსორები ამ კატეგორიის მოზარდებს. ჩვენთან კი მხოლოდ სპორტის (ო. გოგიაშვილი) და ჩოგბურთის (ლ. მესხი) აკადემიები იჩენენ მათდამი მზრუნველობას. სხვათა შორის, საქართველოს სპორტის აკადემიის გამოცდილებას, (მათ შორის ადაპტური სპორტისთვის კადრების მომზადების საქმეში), თურმე ვარშავის სპორტის აკადემიაში დაგეგმილ მომავალ კონგრესზე განაზოგადებენ.

ჩვენს სპორტულ დელეგაციაში აფხაზეთიდან ლტოლვილი ერთი გოგონაც იყო, რომელსაც მზრუნველობას არ აკლებს აფხაზეთის სპორტკომიტეტი (ა. ზუხბაია). მთელი რიგი საკითხების მოგვარებაში დელეგაციას მხარში დაუდგა საქართველოს ინვალიდთა ლიგა (გ. ძნელაძე).

***სურათზე.** სპეციალური ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები. მარცხნიდან: რამაზ ბაქუზანაშვილი, ეკატერინა ვეფხვაძე, არჩილ კაკელია (მწვრთნელი), ირინა საკოიანი და გიორგი ვეფხვაძე.*

## ისევ ხაშურმა გამოიჩინა თავი

სოფლად სპორტის აღორძინების ხაშურის ორგანიზაცია რომ სამაგალითოდ საქმიანობს, ერთხელ კიდევ დადასტურდა რაიონში ოლიმპიური კვირეულის ჩატარებით. ეს ღონისძიება მიეძღვნა საერთაშორისო ოლიმპიურ დღეს და რაიონის 12 საკრებულოში გაიმართა. სტარტზე გამოვიდა 2500-ზე მეტი მონაწილე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფ. ფლევი, [illegible]იაური, წაღვლი, ვაყა... ყველგან დომინირებდა ქართული ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, მკვლავჭიდი, ჩატარდა აგრეთვე მძლეოსნური გარბენები, სამბისტთა შეჯიბრებები და ა.შ. გამარჯვებულები დააჯილდოვა სეოკ-ის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გივი ხაჩიძემ.

რაიონის ხელმძღვანელობა სერიოზულადაა დაინტერესებული მოსახლეობას შორის სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ტრადიციის აღდგენით *(„ლელოს“ კორ., ხაშური)*

# უეფა ხომ საკმაოდ გულუხვია

უეფას აღმასკომმა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე კლუბებისათვის საპრემიო თანხები განსაზღვრა.

ელიან, რომ ამ ახალი გათამაშებისაგან უეფა 800 მილიონ შვეიცარიულ ფრანკზე მეტ მოგებას მიიღებს. ამ თანხის 75 პროცენტი თანაბრად გაუნაწილდება იმ გუნდებს, რომლებიც 32 უძლიერესს შორის მოხვდება (აქედან 30 მილიონი გადაეცემა ეროვნულ ფედერაციებს საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად).

გარდა ამისა, ამ საერთო შემოსავლიდან თითოეული 51 ეროვნული ფედერაციიდან მიიღებს 300 ათას შვეიცარიულ ფრანკს, ის კლუბები კი, რომლებიც 32 უძლიერესს მიღმა აღმოჩნდებიან — 80 ათას ფრანკს. არის ასეთი პუნქტიც: თუ რომელიმე ქვეყნის ჩემპიონი ძირითად ტურნირში ვერ მოხვდება, იგი 150 ათას ფრანკს მიიღებს. კიდევ ასეთი პუნქტი: 28 მილიონი ფრანკის 82 პროცენტი განაწილდება ძირითადი ტურნირის მონაწილეთა შორის, 18 პროცენტს კი უეფა მიიღებს.

უეფამ გამოაცხადა პრემიების რაოდენობა ძირითადი ტურნირის მონაწილეებისათვის. თითოეული მიიღებს ერთნახევარ მილიონ ფრანკს მონაწილეობისათვის, 500 ათას ფრანკს კი ყოველი მატჩისათვის. გარდა ამისა, მოგებისათვის კლუბი მიიღებს 500 ათას ფრანკს, ფრესათვის — 250 ათასს. თუ გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, კიდევ 4 მილიონს მიიღებს, ნახევარფინალის მონაწილე კიდევ ხუთს, ფინალისტი — ექვს მილიონს, გამარჯვებული — 10 მილიონ ფრანკს.

რაღა რჩება, სულ მცირე — კარგი თამაში.

UEFA INTERTOTO CUP

## ინტერტოტო

### მესამე რაუნდის პირველი მატჩები

ვესტ ჰემი (ინგლისი) — იოკერტი (ფინეთი) 1-0
ესპანიოლი (ესპანეთი) — მონპელიე — (საფრანგეთი) 0-2
ქოჯაელისფორი (თურქეთი) — დიუსბურგი (გერმანია) 0-3
ლოკერენი (ბელგია) — მეცი (საფრანგეთი) 1-2
პოლონია (პოლონეთი) — ვაშაში (უნგრეთი) 2-0
ვარტექსი (ხორვატია) — როსტსელმაში (რუსეთი) 1-2
ლუსტენაუ (ავსტრია) — რენი (საფრანგეთი) 2-1
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — პერუჯა (იტალია) 1-2
სენტ-ტრუიდენი (ბელგია) — აუსტრია (ავსტრია) 0-2
ჰერენვეენი (ჰოლანდია) — ჰამარბიუ (შვედეთი) 2-0
ჩახლაული (რუმინეთი) — იუვენტუსი (იტალია) 1-1
ჰამბურგი (გერმანია) — ბაზელი (შვეიცარია) 0-1.

COPA AMERICA-ს ყველა გამარჯვებული



## „COPA AMERICA“-ს ყველა გამარჯვებული

**ამერიკის თასის გათამაშება 1916 წლიდან ტარდება. აი, მისი ყველა გამარჯვებული.**

*1916 – ურუგვაი. 1917 – ურუგვაი. 1919 – ბრაზილია. 1920 – ურუგვაი. 1921 – არგენტინა. 1922 – ბრაზილია. 1923 – ურუგვაი. 1924 – ურუგვაი. 1925 – არგენტინა. 1926 – ურუგვაი. 1927 – ურუგვაი. 1929 – არგენტინა. 1935 – ურუგვაი. 1937 – არგენტინა. 1939 – პერუ. 1941 – არგენტინა. 1942 – ურუგვაი. 1945 – არგენტინა. 1946 – არგენტინა. 1947 – არგენტინა. 1948 – ბრაზილია, 1953 – პარაგვაი. 1955 – არგენტინა. 1956 – ურუგვაი. 1957 – არგენტინა. 1959 (აპრილი) – არგენტინა. 1959 (დეკემბერი) – ურუგვაი. 1963 – ბოლივია. 1967 – ურუგვაი. 1975 – პერუ. 1979 – პარაგვაი. 1983 – ურუგვაი. 1987 – ურუგვაი. 1989 – ბრაზილია. 1991 – არგენტინა. 1993 – არგენტინა. 1995 – ურუგვაი. 1997 – ბრაზილია. 1999 – ბრაზილია.*

### დიდას „მილანი“ ეპატიჟება

მას შემდეგ, რაც ცნობილმა მეკარემ კლაუდიო ტაფარელმა ბრაზილიის ნაკრეში თამაშზე საბოლოოდ უარი განაცხადა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ვანდერლეი ლუქსემბურგოს სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

როგორც „Copa America“-ზე დამსწრე ექსპერტებმა ერთხმად აღიარეს, ბრაზილიის ნაკრებში კარგად ითამაშა მეკარე დიდამ. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება „მილანთან“ ბრაზილიელის იტალიაში გადასვლის შესახებ.

### ესპანეთის ნაკრები? რატომაც არა!

იაპონიის ნაკრების „Copa America“-ზე მიწვევამ თუმცა ბევრი ვინმე გააოცა, მაგრამ იგი ერთჯერად მოვლენად არ დარჩება. შეჯიბრების მომავალმა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს სატურნირო გეოგრაფიის კიდევ უფრო გაფართოვება. ახლა გადაწყდა უკვე ესპანეთის ნაკრების მიწვევა, რომლის თამაშმა კიდევ უფრო საინტერესო უნდა გახადოს ეს შეჯიბრება.

## რეკორდების კოლექციონერი

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი დიდიე დეშამი ტურინის „იუვენტუსიდან“ ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა, მასთან მოუხშირეს ჟურნალისტებმა. ცხადია, საინტერესოა, რას ფიქრობს მსოფლიო ჩემპიონი თავის ახლანდელ მდგომარეობაზე და მომავლის გეგმებზე.

მანამდე კი გადავხედოთ მის მიერ განვლილ გზას.

დაიბადა 1968 წლის 15 ოქტომბერს ქ. ბაიონაში. ადრე გამოქვეყნებული იყო ცნობა, თითქოს დეშამი ბასკია. თვით კაპიტანი ამბობს, რომ იგი ფრანგია. თამაშობდა „ნანტში“ (1983-89), მარსელის „ოლიმპიკში“ (1989-90, 1991-94), „ბორდოში“ (1990-91). შემდეგ დატოვა საფრანგეთი და ხუთი სეზონი 1994-99 წლებში ტურინის „იუვენტუსში“ გამოდიოდა.

მისი მთავარი მიღწევებია: 1998 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ორჯერ (1993, 1996) დაეუფლა ჩემპიონთა თასს, 1996 წელს – ევროპის სუპერთასს, იმავე წელს – საკონტინენტთაშორისო თასს, 1995 წელს უეფას თასის ფინალისტი იყო, საფრანგეთის ორგზის (1990, 1992) და იტალიის სამგზის (1995, 1997, 1998) ჩემპიონია, იტალიის თასის (1995) მფლობელი. ევრო თასებზე 67 მატჩი ითამაშა (ეს საფრანგეთის რეკორდია).

საფრანგეთის ნაკრებში – 36 მატჩი (4 გოლი), ესეც საფრანგეთის რეკორდია.

მაშ ასე, უკანაა ძალზე მდიდარი სპორტული კარიერა.

● ***„ჩელსიში“ იმის გამო ხომ არ გინდოდათ გადასვლა, რომ იქ თქვენი მეგობარი მარსელ დესაიი თამაშობს?***

– დიახ, ამანაც იმოქმედა.

● ***საინტერესოა, რას გრძნობს გამარჯვებული მოთამაშე?***

– ვიყავი პირველი ფრანგი, რომელმაც ჩემპიონთა თასს აკოცა, პირველი ფრანგი, ვინც ხელში აიღო მსოფლიოს თასი მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ. ეს საოცარი გრძნობა გახლავთ – ბედნიერების, უკმაყოფილების გრძნობა. ჯილდოების მოპოვება ხომ ბევრს უნდოდა, მაგრამ გამარჯვებულები ჩვენ გავხდით. ასეთ სიტუაციაში გუნდური სულისკვეთება მტკიცდება, გრძნობ, რომ, როცა ერთად ვართ, ჩვენი ძლევა ძალიან ძნელია.



*დიდიე დეშამი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონია ფეხბურთში*

● ***რეკორდების კოლექციონერობა მოგწონთ?***

– რა თქმა უნდა. დიდი ხნის მანძილზე ვერავინ ბედავდა ხელეყო მანუელ ამოროსის რეკორდი, რომელსაც ნაკრებში 82 მატჩი ჰქონდა ჩატარებული. მე უკვე ოთხით მეტი მაქვს. იმასაც ამბობენ, რომ მოვხსენი როშის რეკორდი ევროთასებზე ნათამაშევი მატჩების რაოდენობით. სასიამოვნოა, რომ ფრანგულ ფეხბურთში დავტოვე კვალი.

● ***გარდა ამისა, ორჯერ იყავით საფრანგეთის ჩემპიონი, სამჯერ იტალიისა, ორჯერ ჩემპიონთა თასი მოიპოვეთ, საკონტინენტთაშორისო თასი, ევროპის სუპერთასი.***

– კარგია, რომ გამახსენეთ, კიდეც მავიწყდებოდა. ცოტა მიღწევები როდია.

● ***უკვე 30 წელს გადააბიჯეთ. ხომ არ ფიქრობთ თქვენი ბრწყინვალე კარიერის დასრულებას?***

– ვფიქრობ, ეს სამი-ოთხი წლის შემდეგ მოხდება, შესაძლოა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც შევეცდებით ჩვენი წოდების დაცვას. შემდეგ უკვე საკუთარი სიამოვნებისათვის ვითამაშებ.

● ***მწვრთნელობა არა გსურთ?***

– ამბობენ, რომ მაქვს მიდრეკილება ასეთი მუშაობისაკენ, თუმცა მაინცდამაინც დარწმუნებული არა ვარ. ეტყობა, ჭაბუკების, 16-17 წლის ბიჭების მწვრთნელი გავხდები, დიდი ფეხბურთისათვის მოვამზადებ. მე ხომ მათთვის სათქმელი ბევრი რამ მაქვს.

ჯერჯერობით კი, რა თქმა უნდა, დეშამი ფეხბურთთან გამოთხოვებაზე არ ფიქრობს. საფრანგეთის ნაკრები ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში მონაწილეობს და ფინალში რომ არ მოხვდეს, ცხადია, დიდი სირცხვილი იქნება. საგზური ფრანგებს თითქოს გარანტირებული ჰქონდათ, მაგრამ პარიზში რუსეთის ნაკრებთან მოულოდნელმა წაგებამ ყველაფერი არივდარია. რჩება ორი საკვანძო მატჩი: ფრანგებმა კიევში უნდა ითამაშონ, უკრაინელებმა კი მოსკოვში. ამის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდება.

შეიძლება თუ არა დეშამი ე.წ. „ასიანთა კლუბში“ მოხვდეს? აქ შეუძლებელი ნამდვილად არაფერია. კაპიტნის მზადყოფნა ახლა ჩინებულია და 14-მატჩიანი ზღვარის გადალახვა ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს. მაშინ მას ფრანგი ფეხბურთელის დამყარებულ რეკორდს დიდხანს ნამდვილად არავინ წაართმევს.

მოამზადა ბიჭი თორელმა

## ევრო-2000-ის საკვალიფიკაციო თამაშების ახალი განრიგი

UEFA EURO 2000 The Low Countries

ბალკანეთზე დატრიალებული პოლიტიკური მოვლენების გამო ევროპის ჩემპიონატის II, VIII და IX ქვეჯგუფებში უეფა-მ ადრე დაგეგმილი მატჩების ახალი თარიღები დაადგინა:

***II ჯგუფი.***

18.08. სლოვენია – ალბანეთი.
04.09. ალბანეთი – ლატვია.

***VIII ჯგუფი***

18.08. იუგოსლავია – ხორვატია
21.08 ხორვატია – მალტა
01.09 ირლანდია – იუგოსლავია
05.09 იუგოსლავია – მაკედონია
10.10 მაკედონია – ირლანდია

***IX ჯგუფი***

05.10 შოტლანდია – ბოსნია

ქართველ ფეხბურთის გულშემატკივრებს კი ვაცნობებთ, რომ 18 აგვისტოს **საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგური მატჩის გასამართავად ესტონეთს გაემგზავრება.**

### ყველაზე ძვირი ტრანსფერების ათეული

*შევჩენკოს „მილანში“ გაყიდვით კიევის „დინამომ“ 25 მილიონი დოლარი მიიღო, რაც სიდიდის მიხედვით მეექვსე აღმოჩნდა საერთოდ ტრანსფერების ისტორიაში.*

აი ყველაზე ძვირი ტრანსფერების ათეული: ვიერი – 1999 წელს – „ლაციოდან“ „ინტერში“ – 50 მილიონი დოლარი. დენილსონი – 1997 წელს – „სან-პაულუდან“ „ბეტისში“-35. ვიერი – 1998 წელს – „ატლეტიკოდან“ „ლაციოში“-28. რონალდი – 1997 წელს – „ბარსელონადან“ „ინტერში“-27. რივალდო – 1997 წელს – „დეპორტივოდან“ „ბარსელონაში“ – 26,7. შევჩენკო – 1999 წელს – კიევის „დინამოდან“ „მილანში“ – 25. შირერი – 1996 წელს – „ბლეკბერნიდან“ „ნიუკასლში“ – 23,3. ლენტინი – 1992 წელს – „ტორინოდან“ „მილანში“ – 21,5. იორკი – 1998 წელს – „ასტონ ვილადან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ – 20.5. რონალდო – 1996 წელს – „ეინჰოვენიდან“ „ბარსელონაში“ – 20 მილიონი დოლარი.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### „გამოცდილი მცველი, დიდი პოტენციალია“

ასე შეაფასა ლონდონის „არსენალის“ ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა მის მიერ სან-პაულუს „კორინთიანსისაგან“ შეძენილი 25 წლის მცველი სილვინიო. ფინანსური პირობები ცნობილი არ არის. სილვინიო აღმოჩნდა უკვე მე-18 უცხოელი, რომელიც „არსენალმა“ ვენგერის ხელმძღვანელობის დროს შეიძინა. ფრანგ სპეციალისტს დიდი ამბიციები აქვს: ინგლისის ჩემპიონობის დაბრუნება და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლა.

### მოვიდნენ, ნახეს, მხრები აიჩეჩეს

**გლაზგოს „სელტიკი“ დიდ ინტერესს იჩენდა ვოლგოგრადის „როტორის“ ცნობილ ნახევარმცველ ოლეგ ვერეტენიკოვისადმი.** შოტლანდიის კლუბის წარმომადგენლები სპეციალურად ჩავიდნენ კიდეც, რათა საკუთარი თვალით ენახათ ვერეტენიკოვის მატჩები მოსკოვსა და ვოლგოგრადში.

ამან კი აი რა შედეგები მოიტანა: „სელტიკის“ ემისრებს ვერეტენიკოვის თამაში აშკარად არ მოეწონათ და მოლაპარაკებაც შეწყვიტეს — ჩვენ უცხოელების შეძენის ლიმიტი უკვე ამოწურული გვაქვსო.

### ახალი მწვრთნელი ახალი მოთხოვნებით

როცა მადრიდის „ატლეტიკოს“ მეპატრონემ ხესუს ხილმა ჩათვალა, რომ იმედები არც რადომირ ანტიჩმა გაამართლა, მის ნაცვლად მოიწვიეს ახალი მწვრთნელი იტალიელი კლაუდიო რანიერი, რომელიც წარმატებით მუშაობდა „ვალენსიაში“. რადომირ ანტიჩს, პირის გატეხისათვის დიდ თანხას გადაუხდიან.

რანიერის ახლა მთავარ ამოცანად მიაჩნია თავისი ძველი კლუბიდან როგორმე გადმოიყვანოს განთქმული არგენტინელი თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი, „ვალენსიას“ კი მისი დათმობა არა სურს.

### დეიან სავიჩევიჩის ახალი კონტრაქტი

ამ რამდენიმე წლის წინათ დეიან სავიჩევიჩი დიდი წარმატებით გამოდიოდა „მილანში“, მაგრამ შარშან ტრავმის გამო იძულებული გახდა შეეწყვიტა თავისი იტალიური კარიერა და სამშობლოში დაბრუნებულიყო, სადაც ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ დაიწყო თამაში.

32 წლის სავიჩევიჩი, სული რომ მოითქვა, ამით არ დაკმაყოფილდა. ახლა მან ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ვენის „რაპიდთან“. სავიჩევიჩს იწვევდნენ აგრეთვე იტალიური „პერუჯა“, ბერძნული პაოკ-ი და თურქული „ფენერბახჩე“.

### მუცი ძვირი ღირს

**მას შემდეგ, რაც „უდინეზემ“ მარსიო ამოროზო „პარმას“ მიჰყიდა, ცხადია, მის შემცვლელებს ეძებს.** ერთი ასეთი კანდიდატი გახლავთ „კალიარის“ შედეგიანი თავდამსხმელი რობერტო მუცი. „უდინეზეს“ მესვეურებს სურთ მასში 12 მილიონი დოლარი გადაიხადონ, მაშინ, როდესაც „კალიარი“ 15,5 მილიონს მოითხოვს.

თუ ეს გარიგება არ მოხდა, მუცი შეიძლება ინგლისში აღმოჩნდეს, სადაც მისი მიწვევა ლონდონის „არსენალს“ სურს.



### მარადონამ „მაესტრიკო“ დაარქვა

პერუს ფეხბურთის დიდ იმედად ითვლება 24 წლის რობერტო სოლანო. იმასაც კი ამბობენ, რომ იგი ოცი წლით უფრო გვიან დაიბადა — აი, იმ დროს უნდა ეთამაშა პერუს ნაკრებში, როცა იქ ტეოფილო კუბილიასი, უგო სოტილო და ექტორ ჩემპიტასი გამოდიოდნენ. ადრე პერუელი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, არგენტინის „ბოკა ხუნიორსში“ გამოდიოდა, სადაც ძალიან მოეწონა მარადონას, მან სოლანოს „მაესტრიკო“ დაარქვა. შემდეგ კი, 1998 წლის ივლისში იგი კენი დალგლიშმა „ნიუკასლ იუნაიტედში“ მიიწვია.

### სევიდოვის ნეგატიური აზრი

ახლო წარსულში ცნობილ თავდამსხმელ იური სევიდოვს ჰკითხეს: — როგორც ლაპარაკობენ, ჯანაშიათი რამდენიმე უცხოური, მათ შორის იტალიური კლუბია დაინტერესებული. შეძლებს კი იგი იქ თამაშს?

— ჩვენი მოთამაშეები ბევრს აინტერესებდა. მაგრამ რა გააკეთეს იქ, რას მიაღწიეს? იგივე მოელის ჯანაშიასაც. სპეციალისტები ორ-სამ თამაშს ნახავენ ხოლმე და ფიქრობენ, რომ მოთამაშე რამდენიმე თვეს მაინც გვიჩვენებს ასეთ სტაბილურობას, ჩვენები ჩადიან, ფულს მიიღებენ და თავის მისიას შესრულებულად თვლიან.




# პარაგვაელების ფეხბურთით დაპურების მცდელობა ხალხის აბუჩად აგდება იყო

დღეს ასე თვლის ბევრი, მათ შორის თვით პარაგვაის ნაკრების კაპიტანი, მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე პოპულარული მეკარე ჩილავერტიც კი. საქმე იმაშია, რომ პარაგვაი სამხრეთ ამერიკაში ყველაზე დამშეული ქვეყანაა, გამეფებულია ქაოსი, ხშირია ტერორისტული აქტები, არასტაბილურ ვითარებაში ზოგ სახელმწიფო მოღვაწეს ადგილზე კლავენ, ზოგიც უცხოეთში გარბის. და ამ დროს, სწორედ ასეთ ქვეყანაში მოისურვეს „კოპა ამერიკის" გათამაშების ჩატარება. მშიერ ხალხს აბა რა ეფეხბურთება, მით უფრო, რომ ბილეთების დიდი რაოდენობა გადამყიდველების ხელში აღმოჩნდა. მექსიკა-ჩილეს მატჩს, რომელსაც ბრინჯაოს პრიზიორი უნდა გამოევლინა, მხოლოდ 2 ათასი მაყურებელი დაესწრო.


ბრაზილიის ნაკრები

რაც შეეხება უშუალოდ ამ მატჩს. საბოლოო ანგარიში 2-1 მექსიკელთა სასარგებლოდ, მეტყველებს, რომ გამარჯვება იოლად არ მოსულა. პირველ ნახევარში მექსიკელებმა ერთი უპასუხო ბურთი გაიტანეს (26-ე წუთი, პალენსია). მეორე ნახევარში ჩილელები შესამჩნევად გააქტიურდნენ, ერთ-ერთი კომბინაცია კი 81-ე წუთზე მეტოქის კარის აღებით დასრულდა — 1-1. მოსალოდნელი იყო, რომ გამარჯვებულს აქაც პენალტები გამოავლენდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე მიგელ ზეპედამ ლუის ერნანდესის ჩინებული პასი, მატჩის ბედის გადამწყვეტი გოლით დააგვირგვინა.

ბრაზილია — ურუგვაის საფინალო მატჩის წინ კი, რაოდენ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, სტატისტიკოსები, რატომღაც წარმატების მეტ შანსს ურუგვაელებს უწინასწარმეტყველებდნენ, ყოველ შემთხვევაში, მოელოდნენ უაღრესად დაძაბულ და საინტერესო მატჩს. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა არც ამჯერად გააწბილეს თაყვანისმცემლები და როგორც წინა გათამაშებაში, ამჯერადაც უძლიერესის სახელი მოიპოვეს, სულ კი ბრაზილიელები მეექვსედ დაეუფლენ სამხრეთ ამერიკის თასს. მატჩის ბედი ფაქტობრივად პირველ ტაიმში გადაწყდა, როცა მე-20 და 27-ე წუთზე რივალდომ ზედიზედ გაიტანა გოლები, მეორე ტაიმის დასაწყისში კი თავი რონალდომ გამოიჩინა და ანგარიში სამამდე გაზარდა. მატჩიც ასე დასრულდა — 3-0 ბრაზილიელთა სასარგებლოდ. გათამაშების ბომბარდირებიც, 5-5 ბურთით, რივალდო და რონალდო გახდნენ.

## გერმანიის ლიგის თასი – „ბაიერნს"

გერმანიის ლიგის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეყნის ჩემპიონი, მიუნხენის „ბაიერნი" და თასის მფლობელი, ბრემენის „ვერდერი". ერთი თვის წინათ გერმანიის თასის ფინალურ მატჩში ამავე გუნდების შეხვედრა, საკმაოდ მოულოდნელად, „ვერდერმა" მოიგო.

ამჯერად უპირატესობა „ბაიერნს" ჰქონდა, რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 2-1 და დაეუფლა გერმანიის ლიგის თასს.

## მცირეოდენი არეულობა „ბაიერნში"

„ბაიერნის" ახალ კაპიტნად თომას ჰელმერის ნაცვლად, რომელმაც გუნდი დატოვა, აირჩიეს შტეფან ეფენბერგი. ამან ისე გაანაწყენა მარიო ბასლერი, რომ საწვრთნელი ბაზაც კი დატოვა.

ამასობაში ახალმა ვიცე-კაპიტანმა, მეკარე ოლივერ კანმა გააკრიტიკა გუნდის ყველაზე გამოცდილი მოთამაშე ლოთარ მათეუსი, რომელიც ზამთრის არდადეგებზე აშშ-ში აპირებს გამგზავრებას და იქ „ნიუ-იორკ — ნიუ ჯერსი მეტროსტარზში" თამაშს.

## გაიგეთ, ვეა არ იყიდება

მილანში სტამბოლის „ფენერბახჩეს" წარმომადგენლები გამოცხადდნენ და აპირებდნენ მოლაპარაკების დაწყებას ჯორჯ ვეას ყიდვის შესახებ.

„მილანის" მესვეურებმა შორს დაიჭირეს: ყველამ გაიგოს, რომ ლიბერიელი თავდამსხმელი (ასაკის მიუხედავად) არ იყიდება.

## ეს ქალი პირველი მწვრთნელია ფეხბურთში

შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთში უკვე ქალთა სრული ემანსიპაცია მოხდა. „მშვენიერმა არსებებმა" ამ პოპულარული თამაშის ყველა „ნომინაციაში" მოიკიდეს ფეხი, რაც აღარავის აკვირვებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ისინი ვაჟთა შორისაც აპირებენ დამკვიდრებას და ალბათ ამასაც მალე მიაღწევენ, რადგან უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენს


კაროლინა მორაჩე

ძლიერთა სქესის შეხვედრებს ქალი რომ უძღვება, სხვათა შორის, საკმაო ვაჟკაცური სიმკაცრით. ამაზე „ლელო" წერდა ადრე. ახლახან იმასაც ვიუწყებოდით, რომ ვაჟთა ფეხბურთის ისტორიაში გაჩნდა პირველი მწვრთნელი ქალი, მას სურათზე ხედავთ — კოროლინა მორაჩე. იტალიელი მანდილოსანი მერმისს ჩაიბარებს ვაჟთა პროფესიულ კლუბ „ვიტერმეზეს", რომელიც იტალიის სერია C-1-ში (მესამე დივიზიონი) გამოდის.

მწვრთნელის დოსიე: ვენეციაში დაბადებულმა 35 წლის მორაჩემ შარშან, ივნისში თავი დაანება პროფესიულ ფეხბურთში თამაშს და „ლაციოს" ქალთა გუნდს წვრთნიდა. ეროვნულ ნაკრებში დებიუტის შემდეგ 14 წლის გოგონამ „სკუადრა აძურაში" 150-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა. საფეხბურთო კარიერის განმავლობაში 8 იტალიურ კლუბში მოუწია გამოსვლა, გაიტანა 554 გოლი, 12-ჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა და სამჯერ დაეუფლა იტალიის თასს.

## პოლიტიკას მიჰყო ხელი

მორიგი ტრავმის გამო ნაკრების მიღმა დარჩენილმა ბრაზილიელმა რომარიომ გადაწყვიტა ბედი სცადოს პოლიტიკაში. ფორვარდი აქტიურად ჩაება რიო-დე-ჟანეიროში გავრცელებულ ძალადობის წინააღმდეგ კომპანიაში და ხელი მოაწერა მოწოდებას იარაღის ლეგალურ გაყიდვასა და ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად. ამასთან, ფორვარდის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა რიო-დე-ჟანეიროს მახლობლად ოლიმპიურ სოფელს, სადაც შეიქმნება სპორტული ცენტრი 20 ათასი ბავშვისათვის. ეს დიდი ხნის პროექტი ყოფილა. ამაზე მთელი ცხოვრება ოცნებობდა რომარიო, ბავშვების მეცადინეობის საშუალება რომ ჰქონოდა.

## ფრაკი და ცილინდრი მოირგო

ფეხბურთელები ძნელად ელევიან სპორტულ კოსტუმსა და კედებს. ცივილურ ტანსაცმელში კი, როგორიც ფრაკი და ცილინდრია, ისინი თითქმის არ გვხვდებიან. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ასეთ გამორჩეულ „ალკაზმულობაში" უნდა გამოეწყო, როცა საქმე ტრადიციულ ასკოტის დოღზე დასწრებაზე მიდგება, რომელსაც მთელ სამეფო ოჯახთან ერთად პოლიტიკოსები, კინოვარსკვლავები და სხვა პატივსაცემი პიროვნებები ესწრებიან. არც ერთი თავმოყვარე ბრიტანელი არისტოკრატი არ გააცდენს ამ ელიტარულ თავშეყრას და უსათუოდ გამოჩნდება ლონდონთან ამ ახლო ქალაქში. ამასთან, ერთი შეხედვით ისეთი მოძველებული აქსესუარები, როგორიც ფრაკი და ცილინდრია, არის საშვი „მაღალი საზოგადოების" ტრიბუნაზე. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი დუაიტ იორკი ნამდვილი ჯენტლმენივით საკმაოდ „ხალვათად" გრძნობს თავს ფრაკში და თავს უფლებას აძლევს იხუმროს კიდეც მობილური ტელეფონით.


დუაიტ იორკი


გიორგი დემეტრაძე — 15 თამაშიდან 14 გოლი

# ორი ლიდერი: ფაქტობრივი და თეორიული

**რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა**

*21 ივნისს რუსეთის ჩემპიონატის მორიგი, მე-17 ტური უნდა გაიმართოს, თუმცა იგი ვისთვის მეჩვიდმეტეა და ვისთვის... ოცდამეერთე! მოხდა ისე, რომ „დავთრები" რუსეთის პირველობაზე კარგა ხანია აირია.*

საქმე ის არის, რომ კალენდარი ისეთნაირად შედგა, რომ მოსკოვის „სპარტაკს" ჩემპიონთა ლიგისათვის უკეთ მომზადების მიზნით რამდენიმე შეხვედრა წინასწარ ეთამაშა სექტემბერში. იქ გამოდის მოსკოვის ცსკა-ც, მაგრამ მისთვის მსგავსი შეღავათი არ მიუციათ. რუსულმა პრესამ აღნიშნა, რომ ჩემპიონატში მონაწილე ყველა კლუბი თავიდანვე თანაბარ პირობებში უნდა ყოფილიყო, პრივილეგიებს არავინ უქმნის არც „მილანსა" და „იუვენტუსს" იტალიაში, არც, თუ გნებავთ, „ბაიერნს" გერმანიაში. ცსკა-ს მწვრთნელმა ოლეგ დოლმატოვმა განაცხადა, რომ რუსეთში „ხელოვნურად ქმნიან ჩემპიონს". ახლა კი მოვუსმინოთ წარსულში ცსკა-ს განთქმულ თავდამსხმელ ვალენტინ ნიკოლაევს:

— ის, რომ „სპარტაკი" დანარჩენ გუნდებს ნათამაშევი მატჩების რაოდენობითა და შესაბამისად დაგროვილი ქულებითაც უსწრებს, მის მწვრთნელებს მანევრირების დიდ საშუალებას აძლევს. ეს არ ხდება არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ ჩემპიონატში. ეს არის პროფესიული საფეხბურთო ლიგისა და რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის სრული ძალმომრეობა და თვითნებობა. ჩვენს სახელმწიფოში ძალიან ბევრი გავლენიანი პირი სრულიად აშკარად გამოხატავს თავის თანადგომას „სახალხო" გუნდის მიმართ. აქედან არის ჩვენი ჩემპიონატის ყველა შეუსაბამობა. გასაგებია, ეროვნული ნაკრების ინტერესები ყველაზე წინ უნდა დავაყენოთ, მაგრამ განა ნაკრების საბაზო კლუბ „სპარტაკს" საამისოდ საგანგებო გრაფიკი უნდა შევუქმნათ? განა ინგლისელები, იტალიელები ან გერმანელები არ გამოდიან თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში? სად ნახავთ ამის მსგავსს? ამასთან, იმ ნაკრებებსა და იმ კლუბებს ჩვენზე ცოტა უფრო მეტი წარმატებები აქვთ. განა ასე არ არის?

ნიკოლაევის და სხვა სპეციალისტების მკაცრი კრიტიკის მიუხედავად, ასეა თუ ისე, ყველას უხდება ამ ახალ, მართლაც უცნაურ კალენდართან შეგუება, თუმცა, სატურნირო ცხრილი, ცოტა არ იყოს, თავისებური ხასიათისაა.

XVI ტურის შემდეგ „სპარტაკმა" ჩაატარა... 20 მატჩი და ახლა 46 ქულით ლიდერობს. მეორე ადგილზეა მოსკოვის „ლოკომოტივი" — 16 თამაშიდან 35 ქულა. რომ მოხდეს სასწაული და „ლოკომოტივმა" ის ოთხი მატჩი მოიგოს, ლიდერზე ნაკლები რომ აქვს ჩატარებული, იგი თვით გადავა პირველ ადგილზე. ერთი სიტყვით, თუ „სპარტაკი" ფაქტობრივი ლიდერია, „ლოკომოტივს" მასზე ნაკლები ქულა აქვს დაკარგული.

ისე კი, დღემდე ჩატარებულ მატჩებში „სპარტაკი" ნამდვილად ყველაზე უკეთ გამოიყურება და, მიმომხილველთა აზრით, არავის დაუთმობს ჩემპიონობას. „ლოკომოტივთან" უშუალო შეხვედრაში „სპარტაკმა" დამაჯერებლად გაიმარჯვა — 3-0. მის ერთადერთ ნაკლად (წამყვან ევროპულ კლუბებთან შედარებით!) ის ითვლება, რომ მოსკოველებს არა ჰყავთ მაღალი კლასის თავდამსხმელები. მწვრთნელი ოლეგ რომანცევი თავს იმით ინუგეშებს, რომ რასაც არ აკეთებენ მისი თავდამსხმელები, ამას ნახევარმცველები ტიხონოვი და ტიტოვი აღწევენ. ტიხონოვი ხომ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის წოდებისათვის იბრძვის. გუნდმა ისიც კი გააკეთა, რომ მოსკოვის „დინამოს" მიჰყიდა ნახევარმცველი გოლოვსკოი, რამენსკოეს „სატურნს" კი იჯარით ახალგაზრდა თავდამსხმელი ბუზნიკინი დაუთმო.

ჯერჯერობით იხტიბარს არ იტეხს „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი იური სიომინი, რომელიც ფიქრობს, რომ მის კლუბს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს „სპარტაკს". სიომინი კარგა ხანს ძალზე უკმაყოფილო იყო ზაზა ჯანაშიას თამაშით. ახლა ქართველმა თავდამსხმელმა გაიუმჯობესა საბრძოლო მზადყოფნა, განსაკუთრებით ძლიერი იყო მოსკოვის „ტორპედოსთან" მატჩში (4-2), სადაც გოლიც გაიტანა, კიდევ ერთის თანაავტორი გახდა, ნიშანი „7" (ყველაზე მაღალი ორ გუნდში) დაიმსახურა. ჯერჯერობით კი ზაზას მხოლოდ 4 გოლი აქვს გატანილი, მაგრამ აღსდგა მისი დუეტი კარგ გამთამაშებელ ლოსკოვთან, რაც რკინიგზელების ქომაგებს იმედებს აძლევს.

საპრიზო ადგილების პრეტენდენტებად მოსკოვის კიდევ სამი კლუბი ითვლება: ცსკა, „ტორპედო" და „დინამო". არმიელები ამტკიცებენ, რომ მათი შარშანდელი წარმატება შემთხვევითი არა ყოფილა. „ტორპედოს" ვიტალი შევჩენკოს ხელმძღვანელობით ძალიან ცოტა გოლი გააქვს, და ძალიან ცოტას უშვებს. რომ უკანასკნელი მძიმე დამარცხება არა, მოსკოვის „ლოკომოტივთან", მისი მცველები ყველაზე შეუვალებადაც კი გამოიყურებოდნენ, თუმცა „ტორპედოს" ცნობილი ოსტატები არა ჰყავს. მას შემდეგ, რაც გიორგი იარცევს მოსკოვის „დინამოში" არაფერი გამოუვიდა, მთავარ მწვრთნელად მოიწვიეს „დინამო-2"-ის მწვრთნელი ალექსეი პეტრუშინი. ბევრი ფიქრობდა, რომ იარცევი ისევ „სპარტაკში" დაბრუნდებოდა მეორე მწვრთნელად. ამ აზრს არ დაეთანხმა რომანცევი, რომელიც ფიქრობს, რომ იარცევის დარი სპეციალისტი აუცილებლად დამოუკიდებლად უნდა მუშაობდეს. პეტრუშინის გუნდში მოსვლის შემდეგ „დინამომ" გაიუმჯობესა თამაში. ისევ დაიწყო გოლების გატანა ცნობილმა სნაიპერმა ტერიოხინმა.

ვალერი გაზაევის „მუქარა", რომ „ალანია" პირველი ადგილისათვის იბრძოლებდა, ჯერჯერობით მუქარადვე რჩება. „ალანია" ძალზე არათანაბრად თამაშობს. მარცხიანი სეზონი აქვს მრავალნაცად ხაპოვს. არ გაამართლეს მოწვეულმა ბრაზილიელებმა, რომელთაგან თავდამსხმელი ჯეფერსონი სამშობლოში ბრუნდება. არაერთხელ აღნიშნულა გიორგი დემეტრაძის შესანიშნავი მზადყოფნა, მაგრამ ექსპერტების აზრით მას სათანადო მხარდაჭერა არა აქვს. დაცვაში სისტემატურად გამოდის მამუკა წერეთელი, ხოლო გია ჩხაიძე ხანდახან თამაშობს.

საინტერესო რამ მოხდა XVI ტურში ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივისა" და სოჭის „ჟემჩუჟინას" მატჩში. გოჩა გოგრიჭიანი, რომელიც ერთ თვეში 35 წლისა გახდება, სოჭიდან ეს-ეს არის ნიჟნი ნოვგოროდში გადავიდა. პირველ წრეში სწორედ გოჩამ გაუტანა გოლი თავის ახლანდელ კლუბს. ნიჟნი ნოვგოროდში ქართველი ფეხბურთელი, სწორედ მატჩის წინალამეს ჩავიდა, მაგრამ მწვრთნელმა ოვჩინიკოვმა, საკუთარი სიტყვით, მაინც გაბედა მისი მინდორზე გამოყვანა. პირველ ტაიმში ანგარიში სტუმართა თავდამსხმელმა კოვალენკომ გახსნა, მაგრამ ჯერ იყო და 64-ე წუთზე გოგრიჭიანის გადაცემით ავაქოვმა გაათანაბრა ანგარიში, თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კი თვით გოჩამ გაიტანა გადამწყვეტი გოლი. მთელი გარღვევა მან ძალიან ლამაზად შეასრულა, ცრუ მოძრაობით გასცდა მეკარე ლედოვსკის და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

ახლა უკანასკნელი ორ ადგილზე არიან და პირველ დივიზიონში გადასვლა ემუქრებათ სოჭის „ჟემჩუჟინას" (7 ქულა), რომელიც გოგრიჭიანის გარდა დატოვეს აგრეთვე ქართველმა ფეხბურთელებმა გიზო ჯელაძემ და გიორგი გოგიაშვილმა, და იაროსლავლის „შინიკს" (12 ქულა), რომელსაც ორიოდე ტურის წინ სათავეში ჩაუდგა ცნობილი ლიტველი სპეციალისტი ბენიამინას ზელკიავიჩუსი.

ახლა სნაიპერთა ცხრილს გადავხედოთ: 15 თამაშიდან 14 გოლით პირველ ადგილზეა დემეტრაძე. ასევე 14 გოლი, ოღონდ 20 თამაშის შემდეგ გაიტანა სპარტაკელმა ტიხონოვმა. 9-9 ბურთი გაიტანეს ტერეხინმა (მოსკოვის „დინამო") და ვერეტენიკოვმა („როტორი"), პირველმა 19, ხოლო მეორემ 17 მატჩის შემდეგ. 8 გოლის (16 თამაშიდან) ავტორია მოსკოვის „ლოკომოტივის" ნახევარმცველი ლოსკოვი.

**ბივი ბამრეკელი**

# ევროპის ყველა ჩემპიონატი

შვედეთი 1992

## პრეტენდენტმა დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი

IX ჩემპიონატში მონაწილეობდა 34 ქვეყნის ნაკრები. ასპარეზობაში პირველად გამოვიდა გერმანია გაერთიანებული ნაკრებით, აგრეთვე დსთ-ს (სსრკ-ს ნაცვლად), ფარერებისა და სან-მარინოს ნაკრებები.

ჩემპიონი გახდა იმ ქვეყნის ნაკრები (დანიის), რომელსაც შესარჩევ ეტაპზე თავის ჯგუფში არ გაუმარჯვია, დაიკავა მეორე ადგილი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იუგოსლავიის ნაკრები დისკვალიფიცირებული იქნა, გავიდა ფინალურ ჯგუფში. 7 ჯგუფში გამარჯვებულ ნაკრებებს დაემატა შვედეთის გუნდი, როგორც მასპინძელი ქვეყანა და შეიქმნა 2 ჯგუფი 4-4 ნაკრების შემადგენლობით. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასულმა გუნდებმა გაითამაშეს ნახევარფინალი და ფინალი.

შესარჩევ ეტაპზე გამარჯვება მოიპოვეს შემდეგმა ნაკრებებმა: I ჯგუფში – საფრანგეთმა, II-ში – შოტლანდიამ, III-ში დსთ-მ, IV-ში იუგოსლავიამ (როგორც ზემოთ ითქვა, მის ნაცვლად მეორე ადგილზე გასულმა დანიის ნაკრებმა მოიპოვა ფინალური საგზური), V-ში – გერმანიამ, VI-ში ჰოლანდიამ, VII-ში – ინგლისმა. შეჯიბრებას გამოეთიშნენ იტალიის, რუმინეთის, ესპანეთის ნაკრებები.

შეიქმნა 2 ფინალური ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ:

I-ში შვედეთი, დანია, საფრანგეთი და ინგლისი.

II-ში ჰოლანდია, გერმანია, დსთ და შოტლანდია.

***I ტური. შვედეთი – საფრანგეთი 1-1.***

შეხვედრის 25-ე წუთზე შვედეთის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა რ. ერიქსონმა გახსნა ანგარიში. თამაშის 59-ე წუთზე პაპენმა გაქვითა გოლი. ბრძოლის სიმწვავემ იკლო და ფრე (1-1) ძალაში დარჩა.



გერმანელთა კარში პირველი გოლის გამტან იენსენისა (№11) და ბუხვალდის ორთაბრძოლა ბურთისათვის.

***დანია – ინგლისი 0-0***

სპეციალისტები ამ მატჩში უპირატესობას ინგლისელებს ანიჭებდნენ, ვინაიდან ჯერ ერთი, ინგლისელები კლასით უფრო მაღლა იდგნენ და მეორე ის, რომ დანიის ნაკრები იღბლიანი შემთხვევის გამო მოხვდა ჩემპიონატზე. სახიფათო მომენტები უფრო ინგლისელთა კართან იქმნებოდა, მაგრამ საბოლოოდ ფრე – 0-0 აღინიშნა.

***ჰოლანდია – შოტლანდია 1-0.***

აქ წარმატებას მიაღწია ფავორიტმა – ჰოლანდიის ნაკრებმა, როცა შეხვედრის მეორე ნახევარში გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ბერგკამპმა.

***დსთ – გერმანია 1-1***

თამაში მიმდინარეობდა დსთ-ს ნაკრების უპირატესობით, პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ – 0-0. თამაშის 77-ე წუთზე როიტერი საჯარიმოში უხეშად ეთამაშა დობროვოლსკის, 11-მეტრიანი მიზანში მოახვედრა თვითონ დობროვოლსკიმ – 1-0. შეხვედრის ბოლო წუთზე ჰესლერმა შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში – 1-1.

***შვედეთი – დანია 1-0***

თანაბარ ორთაბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა შვედეთის ნაკრებმა, ბროლინის გოლის წყალობით.

***გერმანია – შოტლანდია 2-0***

ამ მატჩში იგრძნობოდა გერმანელთა უპირატესობა და 30-ე წუთზე კლინსმანის გადაცემით რიდლემ გახსნა ანგარიში, ხოლო მეორე ნახევრის დასაწყისშივე, 47-ე წუთზე ეფენბერგის დარტყმა შოტლანდიელთა ერთ-ერთ მცველს მოხვდა და ბურთი რიკოშეტით ჩაეშვა შოტლანდიელთა კარის ბადეში.

***ჰოლანდია – დსთ 0-0***

თამაში საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა, იგრძნობოდა ჰოლანდიელთა უპირატესობა, მაგრამ უამრავი საგოლე მომენტი გამოუყენებელი დარჩა, საბოლოოდ ფრე – 0-0.

***შვედეთი – ინგლისი 2-1***

დასაწყისშივე დაწინაურდნენ ინგლისელები, მე-5 წუთზე პლატის დარტყმის შემდეგ. 52-ე წუთზე კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ერიქსონმა თავით გაგზავნა ინგლისელთა კარში – 1-1. ნახევარფინალში გასასვლელად შვედეთის ნაკრებს ფრეც აძლევდა ხელს, მაგრამ მას არ შეუწყვეტია შეტევები და შეხვედრის 83-ე წუთზე ბროლინი გაიტანა გამარჯვების გოლი, 2-1 და შვედეთის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა.

***საფრანგეთი – დანია 1-2***

პირველი ბურთი თამაშის დასაწყისში გაიტანა ლარსენმა და ამის შემდეგ მთელი ტაიმი მიმდინარეობდა დანიელთა უპირატესობით. მეორე ნახევარში უკვე ფრანგები გააქტიურდნენ და 61-ე წუთზე პაპენმა აღადგინა წონასწორობა. ხოლო შეხვედრის 78-ე წუთზე დანიელთა კონტრშეტევა ელსტრუპმა გამარჯვების გოლით დააგვირგვინა. დანია ნახევარფინალში გავიდა.

ამრიგად, პირველი ჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდა ორი სკანდინავიური ნაკრები (შვედეთი და დანია), ხოლო ფავორიტები (ინგლისი და საფრანგეთი) გამოეთიშნენ ბრძოლას.

მეორე ჯგუფის ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდნენ დსთ – შოტლანდია. ამ მატჩს შოტლანდიელთათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა (გარდა პრესტიჟისა), ხოლო დსთ-ს ნაკრები გამარჯვების შემთხვევაში გადიოდა ნახევარფინალში. მაგრამ შოტლანდიელებმა თავგამოდებით იბრძოლეს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით – 3-0. შეხვედრის დასაწყისშივე მე-8 წუთზე გოლი გაიტანა მაკსტეიმ, ხოლო მე-17 წუთზე მაკლეირმა მეორე ბურთი შეაგდო. შესვენების შემდეგ საჯარიმოში უხეშად ითამაშა ცხადაძემ. 11-მეტრიანი მაკალისტერმა არ ააცილა კარს – 3-0.

***ჰოლანდია – გერმანია 3-1.***

ამ ორი ნაკრების შეხვედრა ყოველთვის გამოირჩევა დაძაბული, უშეღავათო ბრძოლით. ბევრს ახსოვს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რაიკარდისა და ფიოლერის შელაპარაკება, როცა რაიკაარდმა შეაფურთხა ფიოლერს. ამ მატჩშიც უკომპრომისო ბრძოლა იყო, რომელშიც რაიკაარდის, ვიჩგესა და ბერგკამპის გოლების წყალობით გაიმარჯვეს ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა. ერთადერთი საპასუხო ბურთი გაიტანა კლინსმანმა.





ევროპის 1992 წლის ჩემპიონი – დანიის ეროვნული ნაკრები. მარჯვენა ფოტოზე – გერმანელთა კარში მეორე გოლი გააქვს კიმ ვილფორტს.

***ნახევარფინალები:***

***გერმანია – შვედეთი 3-2***

შეხვედრის დებიუტი წარიმართა გერმანელთა უპირატესობით. მე-11 წუთზე შვედეთის კარში დაახლოებით 20 მეტრიდან დაინიშნა ჯარიმა, ჰესლერმა ბრწყინვალე დარტყმით გახსნა ანგარიში – 1-0. მე-60 წუთზე სამსვლიანი კომბინაცია ჰესლერი – ზამერი – რიდლე და ამ უკანასკნელმა გაზარდა ანგარიში – 2-0, ხოლო 66-ე წუთზე გერმანელთა კარში გავიდა 11-მეტრიანი ბროლინის დარტყმის შედეგად – 2-1. ამის შემდეგ შვედების შეტევები უფრო გამწვავდა, მაგრამ გერმანელთა ერთ-ერთი კონტრშეტევისას რიდლემ დააწინაურდა გუნდი – 3-1. შეხვედრის ბოლო წუთზე ანდერსონმა შეამცირა სხვაობა ანგარიშში – 3-2 და გერმანიის ნაკრები ფინალში გავიდა.

***ჰოლანდია – დანია 2-2 (6-7 პენალტებით)***

შეხვედრის მე-5 წუთზე დანიელი ლარსენის გოლი 24-ე წუთზე ბერგკამპმა გაქვითა. 33-ე წუთზე ლარსენმა წინ გაიყვანა დანიელები. მთელი მეორე ნახევარი მიმდინარეობდა ჰოლანდიელთა შეტევებში და 87-ე წუთზე რაიკაარდმა ანგარიში გახადა 2-2. დამატებითი დროც ასევე ფრედ დამთავრდა. 11-მეტრიანი დარტყმების სერია, რომელიც შემდეგნაირად მიმდინარეობდა: რ. კუმანი (1-0), ლარსენი (1-1), ვან ბასტენი (1-1 შმეიხელმა მოიგერია), ნილსენი (1-2), ბერგკამპი (2-2), ელსტრუპი (2-3), რაიკაარდი (3-3), ვილფორტი (3-4), ვიჩხე (4-4), კრისტოფტი (4-5).

***ფინალი. დანია – გერმანია 2-0***

***დანია:*** შმეიხელი, სივებაკი (კრისტიანსენი, 67), ოლსენი, კ. ნილსენი, კრისტოფტე, იენსენი, პოულსენი, ბ. ლაუდრუპი, პეხნიკი, ლარსენი, ვილფორტი.

***გერმანია:*** ილგნერი, როიტერი, კოლერი, ჰელმერი, ბრემე, ბუხვალდი, ჰესლერი, ზამერი (დოლი, 46), ეფენბერგი (ტომი, 81), რიდლე, კლინსმანი.

ყველა მოუთმენლად ელოდა ფინალს, ვინაიდან თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი (გერმანიის ნაკრები), ხოლო მეორეს მხრივ, გუნდი, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად, ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე იქცა გამარჯვების ერთ-ერთ პრეტენდენტად. ნახევარფინალში სენსაციური მოგების შემდეგ (ჰოლანდიის ნაკრებთან) დანიელთა მწვრთნელმა რიჰარდ მიოლერნილსენმა განაცხადა: ვძლიეთ ევროპის ჩემპიონებს, ახლა კი ჯერი მსოფლიო ჩემპიონებზე მიდგა.

დასაწყისში უპირატესობა საკმაო ხანს გერმანელებს ეპყრათ. დანიელთა მეკარემ რამდენიმე ძლიერი დარტყმა მოიგერია. ამის შემდეგ გუნდმა თანდათან გამოასწორა მდგომარეობა და მე-20 წუთზე პირველად დაარტყეს გერმანელთა კარში, რომელიც გოლით დამთავრდა: იენსენმა მიიღო გადაცემა და დაახლოებით 15 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში – 1-0. შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონებმა კვლავ სცადეს თავს მოეხვიათ მეტოქისათვის საკუთარი თამაში, მაგრამ დანიელები ადრინდელი ენერგიით იბრძოდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც 79-ე წუთზე ვილფორტის დარტყმული ბურთი კარის ძელს მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა, თამაშის ბედი საბოლოოდ გადაწყდა – 2-0. დანიის ნაკრები პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი.

IX ჩემპიონატზე მონაწილე დსთ-ს ნაკრებში მონაწილეობდნენ: კ. ცხადაძე, (ითამაშა ერთი თამაში) და ა. ცვეიბა (8 თამაში), ფინალურ სტადიაში ითამაშეს კ. ცხადაძემ (1), ცვეიბამ – 2 მატჩი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ მომენტისთვის ცხადაძე იყო მოსკოვის „სპარტაკის", ხოლო ცვეიბა კიევის „დინამოს" შემადგენლობაში.

***ფინალი. გეტებორგი. „ულევი". 37 800 მაყურებელი***

***დანია – გერმანია 2-0.***

***დანია:*** შმეიხელი, სივებაკი (კრისტიანსენი, 67), ოლსენი, კ. ნილსენი, კრისტოფტე, იენსენი, პოულსენი, ბ. ლაუდრუპი, პეხნიკი, ლარსენი, ვილფორტი.

***გერმანია:*** ილგნერი, როიტერი, კოლერი, ჰელმერი, ბრემე, ბუხვალდი, ჰესლერი, ზამერი, (დოლი, 46), ეფენბერგი (ტომი, 81), რიდლე, კლინსმანი.

***გოლები:*** ი. იენსენი, 19 (1-0), ვილფორტი, 79 (2-0).

***მსაჯი:*** ბ. ჰალერი (შვეიცარია)

***ბომბარდირი:*** ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი) – 11 ბურთი.

***სიმბოლური ნაკრები:*** შმეიხელი (დანია), ვან ტიგელენი (ჰოლანდია), ოლსენი (დანია), ერიკსონი (შვედეთი), ბრემე (გერმანია), რაიკაარდი (ჰოლანდია), ჰესლერი (გერმანია), ბ. ლაუდრუპი (დანია), ბროლინი (შვედეთი), პოულსენი (დანია), ბერხკამპი (ჰოლანდია).



ჩემპიონატის ბომბარდირი, ფრანგი ჟან-პიერ პაპენი.

### ტექნიკური შედეგები

#### შესარჩევი ეტაპი

***I ჯგუფი***

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგ. | 8 | 8 | 0 | 0 | 20-6 | 16 |
| 2. ჩეხოსლოვ. | 8 | 5 | 0 | 3 | 12-9 | 10 |
| 3. ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 4 | 17-12 | 6 |
| 4. ისლანდია | 8 | 2 | 0 | 6 | 7-10 | 4 |
| 5. ალბანეთი | 8 | 1 | 0 | 6 | 2-21 | 2 |

ალბანეთი – ესპანეთის მატჩი არ შედგა

***II ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 14-7 | 11 |
| 2. შვეიცარია | 8 | 4 | 2 | 2 | 19-7 | 10 |
| 3. რუმინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-7 | 10 |
| 4. ბულგარეთი | 8 | 3 | 3 | 2 | 15-8 | 8 |
| 5. სან-მარინო | 8 | 0 | 0 | 8 | 1-33 | 0 |

***III ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დსთ | 8 | 5 | 3 | 0 | 13-2 | 13 |
| 2. იტალია | 8 | 3 | 4 | 1 | 12-5 | 10 |
| 3. ნორვეგია | 8 | 3 | 3 | 2 | 9-5 | 9 |
| 4. უნგრეთი | 8 | 2 | 4 | 2 | 10-9 | 8 |
| 5. კვიპროსი | 8 | 0 | 0 | 8 | 2-25 | 0 |

***IV ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუგოსლავ. | 8 | 7 | 0 | 1 | 24-4 | 14 |
| 2. დანია | 8 | 6 | 1 | 1 | 18-7 | 13 |
| 3. ჩრ.ირლანდ. | 8 | 2 | 3 | 3 | 11-11 | 7 |
| 4. ავსტრია | 8 | 1 | 1 | 6 | 6-14 | 3 |
| 5. ფარერები | 8 | 1 | 1 | 6 | 3-26 | 3 |

***V ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 0 | 1 | 13-4 | 10 |
| 2. უელსი | 5 | 4 | 1 | 1 | 8-6 | 9 |
| 3. ბელგია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-6 | 5 |
| 4. ლუქსემბ. | 6 | 0 | 0 | 6 | 2-14 | 0 |

***VI ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 8 | 6 | 1 | 1 | 17-2 | 13 |
| 2. პორტუგალ. | 8 | 5 | 1 | 2 | 11-4 | 11 |
| 3. საბერძნეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 11-9 | 8 |
| 4. ფინეთი | 8 | 1 | 4 | 3 | 5-8 | 6 |
| 5. მალტა | 8 | 0 | 2 | 6 | 2-23 | 2 |

***VII ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 6 | 3 | 3 | 0 | 7-3 | 9 |
| 2. ირლანდია | 6 | 2 | 4 | 0 | 13-6 | 8 |
| 3. პოლონეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-6 | 7 |
| 4. თურქეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-14 | 0 |

#### ფინალური ჯგუფი

***I ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 5 |
| 2. დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. საფრანგ. | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| 4. ინგლისი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |

***II ჯგუფი***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| 2. გერმანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| 3. შოტლანდ. | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 2 |
| 4. დსთ | 3 | 0 | 2 | 1 | 1-4 | 2 |

#### ნახევარფინალი

***გერმანია – შვედეთი 3-2***

***დანია – ჰოლანდია 2-2*** (5-4 პენალტებით).

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფ. ჭშაფი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიე ჟუნი

## მაგრი მსოფლიო პირველობაზე

# სიე ჟუნი – ალისა გალიამოვა

### რატომ იქცა ჩინელი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონის მოვალეობის დროებით შემსრულებლად?



ალისა გალიამოვა

**სულ ცოტა ხნის წინათ, საჭადრაკო სამყაროში ასეთი სიტუაცია იყო: ჟუჟა პოლგარი მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ატარებდა, სიე ჟუნი ერთადერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, ალისა გალიამოვა კი, უბრალოდ, ფიდეს მიერ დასჯილი, საკმაოდ ბუნდოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა.**

ვის შეეძლო თუნდაც მაისში წარმოედგინა, რომ ჟუჟა პოლგარს (რომლის ნამდვილი საჭადრაკო ძალის შესახებ დღეისათვის არავის არავითარი წარმოდგენა არა აქვს და ეს სამწლიანი დუმილის შემდეგ გასაგებიც არის,) გაჯიუტებისა და დიდი ფინანსური მოთხოვნების გამო მსოფლიო ჩემპიონობა ჩამოერთმეოდა, სიე ჟუნის ყველა პრეტენზია დაკმაყოფილდებოდა, ხოლო გალიამოვა, რომელმაც პრეტენდენტთა დონეზე მატჩის თამაშის უფლებაც კი დაკარგა, ახლა ოფიციალურად მოწვეულია, არც მეტი და არც ნაკლები, მსოფლიო პირველობაზე დიდ პაექრობაში, რომელიც 16 პარტიისაგან შედგება, მონაწილეობის მისაღებად. სწორედ ამას ჰქვია, კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო.

ერთი სიტყვით, გაიმართება მსოფლიო პირველობაზე ეს ერთი მატჩიც და ჭადრაკის ისტორიაში მთელი ეპოქა დამთავრდება. 3 სექტემბრიდან ძალაში შედის სულ სხვა დებულება, როცა აღარც საზონათშორისო ტურნირი იქნება, აღარც პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი თუ ფინალური მატჩი, აღარც ტრადიციული შეხვედრა მსოფლიო პირველობაზე. ყოვლივე ამის ნაცვლად წელიწადში ერთხელ, ოლიმპიური სისტემით 64 დიდოსტატი თუ ოსტატი ქალი გამოავლენს უძლიერესს, მსოფლიო ჩემპიონს.

ჩვენ ახლა არ შევუდგებით ლაპარაკს იმის შესახებ, კარგია ეს ახალი სისტემა თუ ცუდი. ეს ცალკე საუბრის თემაა. ჯერ მხოლოდ ისევ ძველი სისტემის დამაგვირგვინებელი, სიე ჟუნისა და ალისა გალიამოვას მატჩის პერსპექტივები, მეტოქეთა შესაძლებლობები განვიხილოთ.

დავიწყოთ იმით, რომ სიე ჟუნალისა გალიამოვას მატჩი იხსნება 27 ივლისს, ქ. შენიანში (ჩინეთი), სადაც შარშან გალიამოვა პრეტენდენტთა დასკვნით ასპარეზობაზე, უბრალოდ, არ გამოცხადდა და წაგება ჩაეთვალა. ახლა მას შედავების უფლებას უკვე აღარავინ მისცემდა თუ შარშანდელ პრეტენზიებს გაიმეორებდა, უბრალო დისკვალიფიკაცია მიეცემოდა და საქმეც ამით დასრულდებოდა. ისე კი, რაღაც დისკრიმინაციაზე ლაპარაკი, ამის თქმა ახლაც შეიძლება: თუმცა სიე ჟუნი მსოფლიო ჩემპიონი არ არის, სწორედ მას მიენიჭა უფლება, მატჩის ყაიმით (8:8) დამთავრების შემთხვევაში გამარჯვებულად ჩაითვალოს, ეს მაშინ, როცა გალიამოვამ მაინცდამაინც მოგებისათვის (8,5 ან 9 ქულა) უნდა იბრძოლოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეგვიძლია სიე ჟუნს, მსოფლიო ჩემპიონის მოვალეობის „დროებითი შემსრულებელი" ვუწოდოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი კომიკური მხარე. როდის დამთავრდება სიე ჟუნ — გალიამოვას ეს მატჩი? სადღაც აგვისტოს შუა რიცხვებში. დიახ, მაგრამ, გამარჯვებულს, რა, მსოფლიო ჩემპიონობა სულ რაღაც ორიოდე კვირით ენიჭება? 3 სექტემბერს ხომ სულ სხვა მსოფლიო ჩემპიონატი იწყება. ერთის მხრივ, აშკარად სასაცილოა, მაგრამ საქმეს სხვა კუთხით თუ შევხედავთ, განა რაიმე სხვა გამოსავალი იყო? რა თქმა უნდა, არა!

ისე კი, ეს ორთაბრძოლა უდავო ინტერესს იწვევს თუნდაც იმიტომ, რომ ახლა გალიამოვა რეიტინგ-ლისტგი იუდით პოლგარის (2671) შემდეგ მეორე ადგილზეა (2556), ჟუჟა პოლგარი სიიდან, უბრალოდ, გამოყვანილია, რახან არ თამაშობს (შემდეგში მას, ცხადია, აღადგენენ), მაია ჩიბურდანიძე (2551) ახლა მესამეა, სიე ჟუნი (2528) კი — მეოთხე. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს ხვდებიან მეორე და მესამე მოჭადრაკეები, სწორედ ისინი, ვინც ორი წლის წინათ პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში გაიმარჯვა, თუმცა იქ მაია ჩიბურდანიძეც თამაშობდა და ნანა იოსელიანიც.

**სიე ჟუნმა** (დაიბ. 1970 წლის 30 ოქტომბერს) 1990 წელს საკმაოდ მოულოდნელად გაიმარჯვა ბორჯომში გამართულ პრეტენდენტების ტურნირში, სადაც ყველა ქართველი მოჭადრაკეების მორიგ ტრიუმფს ელოდა, უფრო სწორად კი, I-II ადგილები გაიყო ალისა მარიჩთან, რომელიც მომდევნო წლის დასაწყისში დამატებით მატჩში დაამარცხა. ნამდვილად სენსაციური იყო ჩინელის გამარჯვება 1991 წელს მაია ჩიბურდანიძესთან, რის შემდეგაც სიე ჟუნი მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონი გახდა. შემდეგ კი მან ჯერ თავისი წოდება დაიცვა ნანა იოსელიანთან ბრძოლაში, ხოლო 1996 წელს მძიმე მარცხი იგემა ჟუჟა პოლგართან, რომელიც ამ აშკარა უპირატესობის შემდეგ, ლეგენდარული ბობი ფიშერისა არ იყოს, გაუჩინარდა. რატომ? ეს სინამდვილეში არავინ იცის.

ახლა დავიწყებას მიეცა ის დრო, როცა ჩინეთის წარმომადგენლებს „კაპიტალისტურ სამყაროში" მოგზაურობის საშუალებას არ აძლევდნენ, რათა მათ „მტრული იდეოლოგიის ზეგავლენა" არ განეცადათ. დღეისათვის სიე ჟუნის ცხოვრება არაფრით განსხვავდება სხვა საჭადრაკო პროფესიონალებისაგან. მეტსაც ვიტყვით, მას სხვებზე უკეთესი პირობებიც კი აქვს. ჩინეთის ხელისუფლება მას ყოველნაირად ეხმარება, იწვევს სპეციალისტებს, აწყობს შეკრებებს, სიე ჟუნი სისტემატურად თამაშობს ვაჟთა თუ ქალთა ასპარეზობებში, სადაც კი საჭიროდ მიიჩნევს. ერთი სიტყვით, დახმარება დიდია, რაღაც ხელისშეშლაზე და „ზეგავლენაზე" აღარც არის ლაპარაკი.

**ალისა გალიამოვა** (დაიბ. 1972 წლის 18 იანვარს) ეროვნებით თათარია, დაიბადა და დაწინაურდა ყაზანში. იყო რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი, მის ყველაზე დიდ წარმატებად კი 1997 წლის მიწურულში პრეტენდენტების მატჩ-ტურნირში დაკავებული პირველი ადგილი ითვლება, სადაც მან გაუსწრო სიე ჟუნს. გალიამოვა გათხოვდა ლვოველ დიდოსტატ ვასილი ივანჩუკზე, ერთხანს უკრაინაში ცხოვრობდა, ჰყავს ვაჟი. გაყრის შემდეგ იგი ყაზანში დაბრუნდა, სადაც შეიქმნა ფონდი მის მოსამზადებლად მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში. შემდეგ კი თვით გალიამოვა ძლიერ უკმაყოფილო დარჩა, რადგან ხელიდან იქნა გაშვებული სიე ჟუნთან მატჩის თუნდაც ნახევრის ყაზანში მოწყობის შესაძლებლობა. მომდევნო ამბებზე, გალიამოვას დისკვალიფიკაციაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

ამრიგად, სიე ჟუნი უკვე მეოთხედ ითამაშებს მატჩს მსოფლიო პირველობაზე, ალისა გალიამოვა კი პირველად. ამას, რა თქმა უნდა, აქვს მნიშვნელობა, თუმცა გადამწყვეტი არა. საერთოდ კი, მეტოქეთა შესაძლებლობები დღეისათვის მაინც დაახლოებით თანაბარია და მატჩის გამარჯვებული, შესაძლოა, სულ მცირე უპირატესობითაც კი გამოვლინდეს. ორივე დიდოსტატი ახალგაზრდაა, კარგად ნავარჯიშევი, ოპტიმალური მზადყოფნით, ისე რომ, მატჩი ბოლომდე მძაფრი უნდა გამოდგეს.

**ბივი ბამრეკელი**

# „ტოტო-ლოტო" – მილიონთა თამაში!

*18 ივლისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამერვე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**4. 12. 13. 26. 37. 39.**
3 ციფრი – 1.90 ლარი.
4 ციფრი – 39.30 ლარი.
5 ციფრი – 265.44 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი" 37 156 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **7. 6. 6. 0. 0. 0. 3.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 25 ივლისს.
ტირაჟის დროს მომენტალური ლატარიების „გოლი-98"-ის და „ოლიმპის" მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები და 26 სექტემბერს ჩასატარებელი პირველი ტელეგათამაშება „გოლი + ოლიმპი"-ზე დასწრების უფლება წილად ხვდათ:
ლატარია „ოლიმპ"-ში – ნათელა აბაშიძეს (თბილისი) – ბილეთის №001181
რ. სიხარულიძეს (თბილისი) – ბილეთის №002471
ლატარია „გოლი 98"-ში ლელა ბოძიაშვილს (თბილისი) – ბილეთის №03987-114
ზოია ლეჟავას (ოზურგეთი) – ბილეთის №02415-163. ჩააბარეთ მოუგებელი ბილეთები გამავრცელებლებს! გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს.
***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

# შიროვის საუკეთესო მზადყოფნა

პრაღაში გაიმართა 6-პარტიიანი ამხანაგური მატჩი ალექსეი შიროვსა (ესპანეთი) და იუდით პოლგარს (უნგრეთი) შორის, რომლებიც ახლა ვაჟთა მსოფლიო პირველობისათვის ემზადებიან.

მატჩის შედეგი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გამოდგა. შიროვმა იგი მოიგო უკვე ოთხი პარტიის შემდეგ, როცა სამი გამარჯვება მოიპოვა და ერთი პარტია ყაიმით დაასრულა. ამის მიუხედავად, — ორთაბრძოლა გაგრძელდა: მეხუთე და მეექვსე პარტიებიც შიროვმა მოიგო.

ამრიგად, მატჩის საბოლოო ანგარიშია 5,5:0,5 შიროვის სასარგებლოდ.

# ლეკო ძალიან გაძლიერდა

დორტმუნდში რვა ცნობილი დიდოსტატის მონაწილეობით გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ფიდეს მეტად მაღალი, მე-19 კატეგორია მიენიჭა. მოჭადრაკეებისათვის ეს ძალების ბოლო მოსინჯვა იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ (30 ივლისს იწყება).

შეჯიბრება ყველაზე უკეთ წარმართა 19 წლის პეტერ ლეკომ. უნგრელმა მოჭადრაკემ 3 პარტია მოიგო, 4 ყაიმით დაასრულა და ამრიგად 5 ქულით თავის სპორტულ კარიერაში პირველად მოიპოვა პირველი პრიზი სუპერტურნირში. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) (ორი პარტია მოიგო და 5 ყაიმით დაასრულა). 4 ქულა აქვს მსოფლიო ჩემპიონს ფიდეს ვერსიით. ანატოლი კარპოვს (რუსეთი), 1 პარტია მოიგო, დანარჩენები ყაიმით დაასრულა.




ტურ დე ფრანსის მე-14 ეტაპი რუსეთელმა იტალიის ველოკლუბში მოასპარეზე დიმიტრი კონიშევმა მოიგო. ეს მისი მეოთხე წარმატებაა „დიდი მარყუჟის" ეტაპზე

*სურათზე: დ. კონიშევი მეოთხე წარმატების შემდეგ.*

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**20 ივლისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** სუპერმატჩი (20.00), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** „რიო დე ჟანეიროს" ჩემპიონატი, მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები (18.20), „მსოფლიოს ფეხბურთი" (21.00), „ამერიკის თასი" – „Cona Amerika". ფინალი (21.40, „ჩემპიონთა ლიგის არქივი" (23.40), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „დევისის თასი" (22.25), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (4.00), ველოსპორტი, „ტურ დე ფრანსი" (9.30, 21.30), ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. (15.30, 17.30, 22.00), ***EUROSPORT.*** რალი, მსოფლიოს ჩემპიონატი (12.30, 4.00)

**21 ივლისი, ოთხშაბათი.**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** „ჩემპიონთა ლიგის არქივი". 1998-99 წ.წ. სეზონი (13.15), ჩემპიონთა ლიგა. საპასუხო მატჩები (20.55, 23.00). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „დევისის თასი" (19.40), ***EUROSPORT.*** „ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი" (13.30, 15.00, 20.30, 1.45), ფეხბურთი. იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი (21.15), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. (23.45).

**22 ივლისი, ხუთშაბათი.**

***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** „ჩემპიონთა ლიგა. საპასუხო მატჩები (17,15, 20.00), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები" (21.55), ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (22.35), „მსოფლიოს ფეხბურთი" (0.50) ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „დევისის თასი" (23.00), ***ESPN.*** ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი" (10.30), ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17.00, 22.30), ფეხბურთი. ევროპის ყოველკვირეული მიმოხილვა (1.30), ***EUROSPORT.*** ცურვა. ევროპის ჩემპიონატი. (11.30), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (16.00), ველოსპორტი. „ტურ დე ფრანსი" (16.30, 18.00, 20.30, 0.00).

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**შვეულად:** 1. სოკერი, 2. სპარე, 3. ბადრო, 4. ვირენი, 6. ამანსიო, 7. აუიტა, 8. სერხი, 9. კაკულია, 10. ტატრა, 12. ილეთი, 13. კოსტადინოვა, 16. ივანიშევიჩი, 17. ჯამარაული, 18. ბარსელონა 19. მალეევა, 20. ალიანსა, 21. არარატი, 22. აბაშიძე, 29. ტომბა, 30. ნოკაუტი, 32. მანჩინი, 33. ძენგა, 35. ტოსტაო, 37. ვშოლა, 38. ლაუდა, 40. ერანიო, 41. ჰოკეი, 42. ნანტი.

**თარაზულად:** 5. ოლიმპიადა, 8. სოკრატესი, 10. ტარზანი, 11. რეკორდი, 13. კრისტი, 14. ესპანიოლი, 15. ბელინი, 19. მარადონა, 21. არახამია, 23. პანათინაიკოსი, 24. მეკარე, 25. მაურიო, 26. სელეში, 27. გაფრინდაშვილი, 28. ატალანტა, 31. იამანიძე, 34. არტიმე, 36. სკავოლინი, 39. ენდერი, 43. ამორუზო, 44. უბილავა, 45. აკადემიკა, 46. ასისტენტი.

# გარი ჟღენტი



ფოთის საზოგადოებრიობამ, მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოცდილი ხელმძღვანელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ვეტერანი სპორტსმენი და სპორტული მოღვაწე გარი ჟღენტი.

დაიბადა 1926 წელს ქ. ფოთში, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი მამამთავრის, „პირველი მერცხალის" გუნდის წევრის, აკაკი ჟღენტის ოჯახში. ფიზკულტურის ტექნიკუმისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ფოთში დაიწყო მუშაობა განათლების სისტემაში, მერე საქალაქო სპორტული ორგანიზაციების სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნება. 1972 წლიდან ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდობის სპორტული სკოლის ჯერ დირექტორის მოადგილე იყო, ხოლო 1980 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე — ამავე სკოლის დირექტორი.

თითქმის მთელი 6 ათეული წელი შესწირა ქართულ სპორტს, ჯანსაღი თაობის, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა აღზრდას. ყველგან, სადაც კი უმუშავია, ღრმა კვალს სტოვებდა, როგორც საქმეში, ისე ადამიანებთან პირადულ ურთიერთობებში. როგორც შესანიშნავ სპეციალისტს და გამორჩეულ პიროვნებას, მუდამ ღირსეულ პატივს მიაგებდა ფოთის საზოგადოებრიობა, საერთოდ, საქართველოს სპორტული სამყარო.

გარი ჟღენტის, როგორც უბრწყინვალესი ადამიანის, სამაგალითო მეგობრის და მეოჯახის, როგორც თაობათა აღმზრდელის ნათელი ხსოვნა არასოდეს ამოიშლება ჩვენი გულებიდან.

ქ. ფოთის
სპორტული საზოგადოებრიობა

## დევისის თასზე

### რუსეთი – სლოვაკეთი 3:2

დევისის თასის მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთისა და სლოვაკეთის ნაკრებები. პირველ დღეს კაფელნიკოვმა მოუგო ხრბატის, ხოლო საფინმა — კუჩერას — 2:0. სამაგიეროდ, მეორე დღეს კუჩერამ და ხრბატიმ დაამარცხეს კაფელნიკოვ — ოლხოვსკის წყვილი, მას შემდეგ კი, რაც კუჩერამ მოუგო კაფელნიკოვს, საერთო ანგარიში გათანაბრდა: 2:2. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა საფინის გამარჯვებამ ხრბატისთან, რის შემდეგ ანგარიში გახდა 3:2 და რუსეთის ნაკრები დევისის თასის ნახევარფინალში გავიდა, სადაც ავსტრიელებს შეხვდება.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს საფრანგეთისა და ბელგიის ნაკრებები შეხვდებიან.

## საჭადრაკო ამოცანა

ნიკოლოზ გაგაშელაშვილი
(ზესტაფონი)



**შამათი 4 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კf4! მუქარა 2. ლf6X.
1. ...ეd:d3 2. მd6X.
1. ...ეf:d3 2. მg3X.
1. ...მ:e4 2. deX.
1. ...d6 2. ლc8X.
1. ...ეd6 2. მ:d6X.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე